



ალფონს დოდე

ორშაბათობით
ნაამბობი მოთხრობები

ალფონს დოდე

**ორუაბათობით
ნაამბობი
მოთხრობები**

თბილისი-2011

Alphonse Daudet
Contes du Lundi

ფრანგულიდან თარგმნა ქეთევან ჯაშმა
Traduit du français par Kétévan Djachy

ყველა უფლება დაცულია
Tous droits réservés

ყდის ღიზაინი მანანა სალუქვაძე, ირაკლი შეშელიძე

© Éditions Brodard et Taupin, 1968
© გამომცემლობა მწიგნობარი, 2011
© ქეთევან ჯაში, თარგმანი, 2011

ISBN

2

Ouvrage publié dans le cadre du Plan d'Aide à la Publication Mérab Mamardachvili avec le soutien du Ministère français des Affaires Étrangères et Européennes, de l'Ambassade de France en Géorgie, du Centre culturel français Alexandre Dumas de Tbilissi et du Ministère français chargé de la Culture-Centre National du Livre.

წიგნი გამოცა მერაბ მამარდაშვილის სახელობის საგამომცემლო დახმარების პროგრამის ფარგლებში საფრანგეთის საგარეო და ევროპულ საქმეთა სამინისტროს, საქართველოში საფრანგეთის საელჩოს, თბილისის ალექსანდრე დიუმას სახელობის ფრანგული კულტურის ცენტრისა და საფრანგეთის კულტურის სამინისტროს-წიგნის ეროვნული ცენტრის (CNL) ხელშეწყობით.

3

ღირებულებებია, რომლებმაც სხვა ნაწარმოებებთან ერთად ალფონს დოდეს XIX საუკუნის ერთ-ერთ ყველაზე გამოჩენილ მწერლად აქცია.

გამოჩენილი ფრანგი მწერალი იყო ალფონს დოდე დაიბადა 1840 წელს ქალაქ ნიმში. დოდეს თავისი კარიერა რეპეტიტორად მუშაობით უნდა დაეწყო. მისი ძმის ერნესტის(ისტორიკოსი და რომანისტი 1871-1921) მხარდაჭერით ალფონს დოდე პარიზში ჩავიდა, რათა მწერლობაში ბედი ეცადა. ის ცნობილი გახდა თავისი ლექსების კრებულით შეყვარებული ქალები (1858). განსაკუთრებული პოპულარულობა მას მოუტანა ნაწარმოებმა წერილები ჩემი წისქვილიდან (1872). ამას მოჰყვა ბიჭუნა (1868), რომელიც მისი ბავშვობის მოგონებებზე მოგვითხრობს, შემდეგ ტარტარენი ტარასკონიდან (1972) კომიკური ოპერა, არლეზიელი გოგონა (1872), ორშაბათობით ნაამბობი მოთხრობები (1873), ჯეკი (1876), ნაბობი (1877), საფო (1884), და სხვა.

ალფონს დოდე მეგობრობდა ემილ ზოლასთან. გონკურის აკადემის დაარსებიდან მისი წევრი იყო. გასაგები და გულახდილი სტილით თხრობის ოსტატი 1897 წელს პარიზში გარდაიცვალა.

ორშაბათობით ნაამბობი მოთხრობები 1873 წელს დაიბეჭდა. მის პირველ ნაწილში (წარმოსახვა და ისტორია), ავტორი გვიამბობს 1870 წლის ომის წაგებისა და პოლიტიკური მღელვარების შესახებ; დაპყრობილ ქვეყანაზე, ელზასის დაკარგვაზე, პარიზის ალყაზე, კომუნაზე, შელახულ სიამაყეზე. დიდება და ბოროტება აცოცხლებს კლასიკად ქცეულ მოთხრობებს, როგორებიცაა მედროშე, უკანასკნელი გაკეთილი, ჯამუში ბაეში.

იუმორი ჭარბობს მეორე ნაწილში ჭირვეულობა და მოგონებანი, ცოტა შავი იუმორიც კი არის გადმოცემული მოთხრობაში ბუკნალტერი, უფრო ნათელ ფერებშია წარმოდგენილი მოთხრობა ყველის წვნიანი. სიტბოთია აღვსილი დონ ბალაგერის ამბავი, რომელიც მსუნაგობის ცოდვით შეპყრობილი უხეიროდ ატარებს სამ წირვას.

სიმარტივე, დახვეწილობა, ემოცია, პოეზია, ჭეშმარიტება - ამ წიგნში გადმოცემული მოთხრობების მთავარი

კუძღვნი ჩემს ძვირფასს
ერნესტ დოდეს¹

პიტყლი ნაწილი

წარმოსახვა და ისტორია

ბოლო გაკვეთილი

პატარა ელზასელის ნაამბობი

იმ დღით სკოლაში წასვლა ძალიან დამაგვიანდა. მეშინოდა, რომ მასწავლებელი დამტუქსავდა. მით უმეტესს ბატონმა ამელმა გვითხრა, რომ გრამატიკაში მიმღობას გამოგვკითხავდა. მასზე არავითარი წარმოდგენა არ მქონდა. ერთი მომენტი თავში აზრმაც კი გამიელვა, გაკვეთილი გამეცდინა და მინდორ-ველად გაუჭრილიყავი.

ძალიან თბილი და კარგი ამინდი იყო!

ტყის პირას რიპერის ველზე შამშვების სტვენა ისმოდა. ხის სახერხი ქარხნის უკან, პრუსიელები ვარჯიშობდნენ. ყველაფერი ეს უფრო მიზიდავდა, ვიდრე გრამატიკული წესი მიმღობის წარმოების შესახებ; ძალა მოვიკრიბე, ცდუნებას გაუშეღი და სირბილით სკოლისაკენ გავეშურე.

¹ ფრანგი მწერალი და ჟურნალისტი ერნესტ დოდე, აღფონს დოდეს უფროსი ძმა იყო.

როდესაც მერიას ჩავურბინე, დავინახე, რომ ხალხი გაფაციცებით უყურებდა განცხადებებს. ორი წელია, სწორედ ამ ადგილას ვგებულობდით ცუდ ამბებს, წაგებულ ბრძოლის შესახებ, სახელმწიფო ორგანოების მოთხოვნებს, კომენდატურის ბრძანებებს. საკუთარ თავს შევეკითხე:

„ახლა რაღა მოხდა?“

მოედანი სირბილით გადავკვეთე, მჭედელი ვახტერი თავის შეგირდთან ერთად აფიშასთან იდგა და განცხადებას კითხულობდა. მომადანა:

„ნუ ჩქარობ პატარავ; მაინც ადრე მიხვალ სკოლაში!“

ვიფიქრე დამცინის-მეთქი და ბატონი ამელის პატარა ეზოში ქოშინით შევედი.

ჩვეულებრივ, გაკვეთილის დაწყებამდე დიდი ხმაური იყო. მერხების გაღებისა და დახურვის ხმა ეზოში ისმოდა. ბავშვები გაკვეთილებს ყურზე ხელის დაცობით ერთად ხმამაღლა იმეორებდნენ. მასწავლებელი კი დიდ სახანაუს მაგიდებს ურტყამდა:

„ცოტა სიჩუმე დაიცავით!“

ამის იმედი მქონდა. ვფიქრობდი შეუმჩნევლად მიმედწია ჩემს ადგილამდე; მაგრამ იმ დღეს, ისეთი სიჩუმე სუფევდა, როგორც კვირა დღეს. ღია ფანჯრიდან საკუთარ ადგილებზე ჩამწკრივებული ჩემი კლასელები დავინახე. ბატონი ამელი მკლავში ამოჩრილი რკინის სახანავით აქეთ-იქით დადიოდა. იძულებული გავხდი კარი გამეღო და სიჩუმე დამერღვია. ალბათ გაინტერესებთ სირცხვილსაგან

თუ გავწითლდი და შიში დამეუფლა!

სრულებითაც არა! ბატონმა ამელმა გაბრაზების გარეშე შემომხედა და მშვიდად მითხრა:

„ ძვირფასო ფრანც, სწრაფად დაჯექი შენს ადგილას. გაკვეთილი შენს გარეშე დავიწყეთ. “

მერხთან მივირბინე და მაშინვე დავეჯექი ჩემს ადგილზე. მხოლოდ ახლა, როდესაც შიში დაეძლიე, შევნიშნე, რომ ჩვენს მასწავლებელს ლამაზი მწვანე რედინგოტი ეცვა თეთრი პლისირებული ჟაბოთი. თავზე კი შავი აბრეშუმის მოქარგული ქუდი ეხურა, რომელსაც მაშინ იხურავედა, როდესაც ინსპექტორი მოდიოდა სკოლაში პრემიების გადმოსაცემად. მთელ კლასს რაღაც უჩვეულო და საზეიმო განწყობა ჰქონდა. ყველაზე მეტად იმან გამაოცა, რომ საკლასო ოთახის ბოლოში, მერხებზე, რომლებიც ჩვეულებრივ ცარიელი იყო, სოფლის ხალხი ჩუმად იჯდა. იქ იყვნენ: მოხუცი ჰაუზერი, თავისი სამკუთხა ქუდით, ყოფილი მერი, ყოფილი ფოსტალიონი და ასევე სხვები. ყველანი მოწყენილები ჩანდნენ. ჰაუზერს გვერდებში მოგლეჯილი ძველი ანბანი მოეტანა, რომელიც ფართოდ გადაშლილი მუხლებზე ედო, ანბანის გვერდებზე კი დიდი სათვალეები დაედო.

ყველაფერ ამას გაცოცხლებული ვუყურებდი. ბატონი ამელი კათედრაზე ავიდა და მშვიდი და მკაცრი ხმით გვითხრა:

„ბავშვებო, დღეს ბოლო გაკვეთილია. ბერლინიდან ბრძანება მოვიდა. ამიერიდან ელზასისა და ლოტარინგიის სკოლებში მხოლოდ გერმანული უნდა ისწავლებოდეს...ახალი მასწავლებელი ხვალ

ჩამოდის. დღეს, ფრანგული ენის ბოლო გაკვეთილი გაქვთ. გთხოვთ, ძალიან ყურადღებით იყოთ.“

მისმა სიტყვებმა ამაღელვა. ხედავ! ამ საცოდავებმა რა განცხადება გამოაკრეს მერიის წინ.

ფრანგულის ბოლო გაკვეთილი!...

მე კი წესიერად წერაც კი არ ვიცი! ვერც ვერასოდეს ვისწავლი! ასეთ სიტუაციაში უნდა აღმოჩენილიყავი, რომ ამას მიმხედარიყავი!... როგორ ვბრაზობ საკუთარ თავზე, რომ ამდენი დრო უქმად გავატარე, გაკვეთილებს ვაცდენდი. ხან ჩიტის ბუდეებს ვეძებდი, ხან კი მდინარე საარაზე ვსრიალებდი! ჩემი წიგნები, რომლებიც სულ ცოტა ხნის წინ მოსაწყენი მეჩვენებოდა და მამძიმებდა, გრამატიკის სახელმძღვანელო, ისტორიის წიგნი, დღეს იმ ძველ მეგობრებს ჰგავდა, ვისთანაც განშორება მიჭირდა. იმავეს განვიცდიდი ბატონი ამელის მიმართაც. იმაზე ვფიქრობდი, რომ მას უნდა მივეტოვებინეთ, რომ ვეღარ ვნახავდი, ამან კი დამაფიწყა როგორ მსჯიდა გაკვეთილებზე, როგორ მირტყამდა ხელებზე სახაზავს.

საბრალო კაცი!

სწორედ ბოლო გაკვეთილის გამო ჩაიცვა გამოსასვლელი ტანსაცმელი. ახლა კი ვხვდები, რატომ ისხდნენ სოფლის უხუცესნი საკლასო ოთახის ბოლოში. ნანობდნენ, რომ ხშირად არ მოდიოდნენ სკოლაში. ერთგვარად მადლობაც კი გადაუხადეს ჩვენს მასწავლებელს, ვინც 40 წელი პირნათლად ემსახურებოდა სამშობლოს, იმ სამშობლოს, რომელიც დაღუპვის პირას იდგა...

ამ ფიქრებში ვიყავი წასული, როდესაც ჩემი გვარი ამოიკითხეს. გაკვეთილი უნდა მომეყოლა. რას არ მიფცემდი, ოღონდაც კი მცოდნოდა გრამატიკული წესი მიმღობის შესახებ, ხმამაღლა და უშეცდომოდ მეთქვა ის! პირველივე სიტყვების წარმოთქმისთანავე აზრი ამებნა. ფეხზე ვიდექი, გულგასიებული, თავდახრილი მერხთან ვქანაობდი. ბატონმა ამელმა მითხრა:

„მეირფასო ფრანც, არ გაგიბრაზდები, ისედაც დაისაჯე...ახლა უკვე ხედები ალბათ, რომ ყოველ დღე საკუთარ თავს ეუბნებოდი: „უჰ! არა უშავს, ბევრი დრო მაქვს, გაკვეთილს ხვალ ვისწავლი...“ და ახლა ხომ ხედავ, რაც მოხდა...ეს ხომ დიდი უბედურებაა ჩვენი ელზასისათვის. საკუთარი განათლება, ხვალისათვის გადაგქონდა. დღეს კი მათ უფლება აქვთ გვითხრან: „რა პრეტენზია გაქვთ იყოთ ფრანგები, როდესაც მშობლიურ ენაზე წერაკითხვა არ იცით!“ ყველაფერ ამაში მარტო შენ როდი ხარ დამნაშავე. ყველანი ვცოდავთ. ყველა ჩვენგანმა საკუთარ თავს ბევრი რამ უნდა უსაყვედუროს.

„თქვენ მშობლებსაც მაინდამაინც როდი სურდათ, რომ თქვენ განათლება მიგელოთ. მიწის დასამუშავებლად ანდა საფეიქრო ქარხანაში გიშვებდნენ სამუშაოდ დამატებითი გროშების საშოვნელად. განა, მეც არა მაქვს სასაყვედურო? რამდენჯერ სწავლის ნაცვლად ჩემი ბაღის მორწყვას გავალებდით? როდესაც კალმანზე სათევზაოდ წასვლა მინდებოდა, არ განვიცდიდი, რომ გაკვეთილებიდან განთავისუფლებდით?...“

ბატონი ამელი ხან ერთ რამეზე საუბრობდა, ხან მეორეზე. შემდეგ კი გვესაუბრა ფრანგული ენის შესახებ, რომ იგი ყველაზე ლამაზი ენა იყო მსოფლიოში, ყველაზე გასაგები, ყველაზე მყარი. გვითხრა, რომ უნდა შეგვენარჩუნებინა და არასდროს არ დაგვევიწყებინა იგი, რადგანაც თუკი რომელიმე ერს დაიმონებენ, რომლისთვისაც საკუთარი ენა ძვირფასია, ის ადვილად შეძლებს მონობიდან თავის დაღწევას ცოდნის მეშვეობით. ეს თითქმის იგივეა, რომ ხელში საკუთარი სატუსალოს გასაღები...² გეჭიროს. შემდეგ ბატონმა ამელმა გრამატიკის წიგნი აიღო და გაკვეთილი წაგვიკითხა. გაცხებული ვიყავი იმით, თუ როგორ ადვილად ვხვდებოდი ყველაფერს. ყველაფერი მარტივი მეჩვენებოდა. ვფიქრობ, არასოდეს ასე ყურადღებით არ მისმენია მისთვის და მასაც არასდროს ასეთი მონდომებით ამდენი დრო არ დაუთმია ახსნისათვის. შეიძლებოდა გეფიქრათ, რომ წასვლამდე საბრალო კაცს სურდა ჩვენთვის ერთბაშად გადმოეცა ყველაფერი, რაც იცოდა.

გაკვეთილი დასრულდა. წერაზე გადავედით. ბოლო გაკვეთილისათვის ბატონმა ამელმა ახალი მაგალითები მოგვიმზადა, რომელზეც ლამაზად მრგვალი ასოებით ეწერა: საფრანგეთი, ელზასი, საფრანგეთი, ელზასი. ეს მერხზე ჩამოკიდებული ფურცლები პატარა დროშებს წაგავდა, კლასში

² “თუ მისთვის ძვირფასია მშობლიური ენა, ის იმ გასაღებს ფლობს, რომლითაც ბორკილებიდან თავს დაიხსნის“-ფ. მის-ტრალი

ფრიალებდა. უნდა გენახათ, როგორ ცდილობდა თითოეული მოსწავლე, როგორი სიჩუმე სუფევდა! მხოლოდ ქალღმრთელ კალმის ფხაჭნის ხმა ისმოდა. ერთი მომენტი მაისის ხოჭოები შემოფრინდნენ, მაგრამ არავის არ მიუქცევია მათთვის ყურადღება, თვით ყველაზე პატარებსაც კი, რომლებსაც მთელი გულით, კეთილსინდისიერად ასოების ნაცვლად ხაზები გამოყავდათ, გვეგონებათ ფრანგულად წერდნენ... სკოლის სახურავზე მტრედები ჩუმად ღულუნებდნენ. ვუსმენდი მათ და საკუთარ თავს ვეკითხებოდი:

„მათაც ხომ არ აიძულებენ, რომ გერმანულად ილულუნონ?“

დროდადრო, ზემოთ ვიხედებოდი, ვხედავდი როგორ იდგა უძრავად ბატონი ამელი თავის კათედრასთან და გარშემო მყოფ საგნებს აკვირდებოდა, თითქოს სურდა, თავისი მზერით სამუდამოდ ჩაებეჭდა მესხიერებაში მისი ძვირფასი სკოლა, რომელიც ამავე დროს მისი სახლიც იყო... წარმოიდგინეთ! ორმოცი წელი ერთსა და იმავე კლასში და ერთსა და იმავე სკოლაში ასწავლიდა. სკოლის წინ ეზო იყო. მხოლოდ, მერხები, სკამები გაცვთა ხმარებისაგან. სკოლის ეზოში დარგული კაკლის ხეები გაიზარდა. სვია, რომელიც თავად ბატონმა ამელმა დარგო, ფანჯრებს გირლანდებით შემოხვეოდა სახურავამდე. ამ საბრალო ადამიანისათვის ყველაფრის მიტოვება დიდ უბედურებას ნიშნავდა. ზემოდან ისმოდა ბატონი ამელის დის ნაბიჯების ხმა, რომელიც აქეთ-იქით

დადიოდა და ჩემოდნებს ალაგებდა. ისინი აქედან ხვალ უნდა წასულიყვნენ სამუდამოდ.

მიუხედავად ამისა, ბატონ ამელს ეყო გამბედაობა, რომ ჩვენთვის გაკვეთილი ბოლომდე ჩაეტარებინა. წერის შემდეგ, ისტორიის გაკვეთილი გვექონდა, პატარებმა ერთად იმღერეს. იქ, კლასის სიღრმეში, მოხუც ჰაუზერს სათვალე გაეკეთებინა, ხელში ანბანი დაეჭირა ორი ხელით და მათთან ერთად ასობებს მარცვლადა. მღელვარებისაგან ხმა უთრთოდა. ეს კი იმდენად სასაცილო იყო, გვეჩვენებოდა, რომ ყველა ჩვენგანს სურდა ხან ეცინა და ხან ეტირა. მუდამ შემახსოვრება ჩემი ბოლო გაკვეთილი...

უცებ ეკლესიის საათმა 12-ჯერ ჩამოკრა. შემდეგ გაისმა ღვთისმშობლისადმი ლოცვა. იმავე წუთს ჩვენს ფანჯრებთან პრუსიელთა საყვირების ხმა შემოგვესმა. ისინი ვარჯიშიდან ბრუნდებოდნენ... გაფითრებული ბატონი ამელი ფეხზე წამოდგა კათედრასთან. არასოდეს ასეთი მაღალი არ მომჩვენებია.

„მეგობრებო...თქვა-მან, ჩემი, მე...მე...“

რალაც ახრჩობდა. ვერ შეძლო წინადადების დასრულება.

უცებ დაფისკენ შეტრიალდა, ცარცის ნატეხი აიღო და მთელი ძალით და შეძლებისდაგვარად დიდი ასობებით დაწერა:

„გაუმარჯოს საფრანგეთს!“

იქვე გაშემდა, თავი კედელს მიაყრდნო, უსიტყვოდ, ხელით გვანიშნა:

„გაკვეთილი დამთავრდა... გადითო.“

ბრძოლა 2 დღე გრძელდებოდა. ღამე თავსხმა წვიმაში გაატარეს ზურგზე ჩანთაგადაკიდებულებმა. ჯარისკაცები გადაღლილები ჩანან. აი, უკვე სამი საათია გზებზე წუმპეებში, წვიმისაგან გადარეცხილ მინდვრებში მიტოვებულნი სიცივისაგან ითოშებიან, ფეხთან იარაღი უწყვიათ.

ღამეებს დაღლისაგან ქანცაწვევტილები გარეთ ატარებენ, ფარაჯები წყლით აქვთ გაჟღენთილი, ერთმანეთს გასათბობად ეკვრიან, ერთმანეთს ამხნევენ. ზოგიერთს ზეზეულად სძინავს მეზობლის ტომარაზე დაყრდნობილს. დაღლილობა და გაჭირვება მოდუნებულ სახეზე ჩაძინებულს უფრო ემჩნევა. წვიმაში, ტალახში, ცეცხლისა და საკვების გარეშე, პირქუში ღია ცის ქვეშ ყრიან. მტერი გარს არტყიათ. სვედის მომგვრელი სანახაობაა...

რას აკეთებენ იქ? რა ხდება?

ტყისკენ მიშვერილი ზარბაზნები თითქოს რალაცას ელიან. ჩასაფრებული ტყვიამფრქვევები ჰორიზონტს მიშტერებიან. თითქოს ყველაფერი მზად იყოს შეტევის დასაწყებად. რატომ არ გადადიან შეტევაზე? რას უცდიან?

ბრძანებას ელოდებიან, შტაბი კი დუმს.

თუმცა შტაბი იქვეა. ლუდოვიკო XIII-ეს ლამაზი წითელი აგურით ნაშენი სასახლე, რომლის კედლებიც წვიმას ჩამოერეცხა, შუა-აღმართზე მთის მასივებს შორის ბრწყინავს. მთავარი კოშკი მედგრად დგას, ღირსეულად აღუმართავთ საფრანგეთის

ერთ-ერთი მარშლის ალაში. უკან დიდი ორმოა და ქვის მოაჯირი, რომელიც მას გზისგან ყოფს, გაზონები ზემოთ ადის პირდაპირ შესასვლელთან, რომელიც მწვანე და სწორი ყვავილებით სავსე ლარნაკებითაა გარშემორტყმული. სასახლის შიდა მხარეს წიფლის ხეივანები სინათლის ხვერუდებს ქმნის, წყალი, რომელზეც გედები დაცურავენ, სარკესავით ბრწყინავს. ჩინური ტაძრის სახურავის მსგავსი ფორმის ქვეშ, განთავსებულია დიდი ვოლიერი, საიდანაც ფარშევანგების, ოქროსფერი ხონების გამჭოლი ყვირილი ისმის. ისინი ფრთებს უტყლაშუნებენ და კუდით მარაოს აკეთებდნენ. მიუხედავად იმისა, რომ სახლის პატრონი იქ არ ცხოვრობს, ეს ადგილი ომის გამო მიტოვებულს როდი ჰგავს. არმიის მეთაურის დროშის წყალობით შემორჩა გაზონის ყველა ყვავილი. ყველაზე შთამბეჭდავი ის იყო, რომ ბრძოლის ველის მახლობლად იქ ასეთი საუცხოო სიმშვიდე სუფევდა. ჩვეულებრივ მთის მასივები ერთმანეთს ენაცვლებს, ფართე ქუჩებში კი სამარისებულმა სიჩუმემ დაისადგურა.

თუკი გზებზე წვიმა საშინელ ტალახს აგროვებს და ორმოებს ქმნის, აქ მხოლოდ სასიამოვნო და განსაკუთრებული თავსხმაა, რომლის დროსაც აგურის წითელი და გაზონის მწვანე ფერები ცოცხლდება. ფორთოხლის ხის ფოთლები და გედების თეთრი ბუმბული თავისებურად ბრწყინავს. ყველაფერი ბრწყინავს, სიმშვიდე სუფევს. რომ არა სახურავზე აღმართული დროშა და ღობის წინ საგუმავოზე მდგარი ორი ჯარისკაცი, ვერასდროს

ვერ იტყოდით, რომ სასახლეში შტაბი იყო განთავსებული. ცხენები საჯინბოში ისვენებენ. აქა-იქ შემოგვხდებათ დენშიკები, მოკლე პიჯაკებში გამოწყობილი ადიუტანტები. ისინი სამზარეულოს მახლობლად ტრიალებენ. ზოგჯერ წითელმარვლიანი მებადე გამოჩნდება. დიდ ეზოში ქვიშაზე თავის ფოცხს მიათრევს.

სასადილო ოთახში, რომლის ფანჯრები სადარბაზოს მხარეს გადის, ჩანს ნახევრად ალაგებული მაგიდა, დაჭმულ სუფრაზე სახურავმონდილი ბოთლები, დაორთქლილი, ცარიელი და უფერული ჭიქები. სადილი დასრულდა, სტუმრები წასულან. გვერდითა ოთახში ისმის ვიდაცის საუბარი, სიცილი, ბურთულების გორვა და ჭიქების ჭახუნი. მარშალი ბილიარდის პარტიას თამაშობს და ამიტომაცაა, რომ ჯარს ბრძანება არ მიუღია. თუკი მარშალმა თამაში დაიწყო, პარტიის დასრულებამდე ცა რომც ჩამოიქცეს, ვერაფერი ვერ შეაჩერებს.

მარშალი სახელგანთქმული მეომარია. ბილიარდი მისი სისუსტეა. თამაშის დროს ისეთივე სერიოზულია, როგორც ბრძოლის ველზე. საზეიმო ტანსაცმელში გამოწყობილს, გულმკერდს მელღები უმშვენებს. თვალები უბრწყინავს, ღაწვები უხურს სადილის, თამაშისა და გროვის გამო. გარს დაუხარული, პატვისაცემი თანამებრძოლები ახვევია. ყოველი დარტყმისას სუნთქვა ეკვრით. როდესაც მარშალი ბურთს ლუზაში აგდებს, ყველა ნიშნის დასასმელად მიემართება. როდესაც მარშალს

სწყურია, ყველას სურს მისთვის გროგის მომზადება. ისმის ეპოლეტებისა და ჯიღების ხმაური, ჯვრებისა და აქსელბანდების წკარუნი. ამდენი მომხიბვლელი ღიმილის, მეფის კართან დაახლოებულ პირთა დახვეწილი რევერანსების, მაქმანებისა და ახალი სამხედრო ფორმების დანახვამ მაღალჭერიან მუხის ხით დაფარულ დარბაზში, რომელიც პარკის საპატო ეზოში გადის, კომპიენის შემოდგომა გამახსენა, როდესაც ჯარისკაცები ტალახით დასვრილ ლაბადებში სიცოცხისაგან აკანკალებული გზის გასწვრივ საცოდავ ჯგუფებად მიდიოდნენ წვიმაში.

მარშლის პარტნიორი დაბალი ტანის თმახუჭუჭა შტაბსკაპიტანი იყო. წელზე ქამარი ჰქონდა შემორტყმული, ხელზე ღია ფერის ხელთათმანები ეკეთა. ბილიარდს ძალიან კარგად თამაშობდა და შეეძლო ნებისმიერი მარშლის გაცურება. მან იცოდა როგორი მოწინააღმდეგე იყო თავი უფროსთან. ცდილობდა არც მოეგო და არც ადვილად წაეგო. ასეთ ოფიცერს პერსპექტიულს უწოდებენ...

„ყურადღება ახალგაზრდა, უფროსილდით. მარშალს 15 ქულა აქვს, თქვენ კი 10. პარტია ბოლომდე უნდა ითამაშოთ. ალბათ ასე უფრო ეცდებით დაწინაურებას, ვიდრე სხვებთან ერთად გარეთ რომ ყოფილიყავით ისეთ თავსხმაში, როდესაც ჰორიზონტიც არ ჩანს. თქვენი ლამაზი მუნდირი დაისვრებოდა, თქვენი აქსელბანტების ოქროს ბოლოები კი გაუფერულდებოდა. იქნებოდით ბრძანების მოლოდინში, რომელსაც პირი არ

უჩანს.“

ჰუმმარიტად საინტერესო პარტიაა. სხვადასხვა ფერის ბურთულები გორავს, ერთმანეთს ეჯახება. თამაში იძაბება... უცებ ზარბაზნიდან გაისროლეს და ცაში ალი ავარდა. ყრუ ხმაურმა მინები შეაზანზარა. ყველა შეხტა. ერთმანეთს შემოფოთებული უყურებენ. მხოლოდ მარშალი ვერაფერს ვერ ხედავს და არაფერი არ ესმის. ბილიარდის მაგიდაზე გადახრილი, ცდილობს განახორციელოს ხელსაყრელი დარტყმა რამდენიმე ნაბიჯს უკან დგამს. ამაში ძალზე გამოცდილია!...

და აი, ისევ გაიელვა ცეცხლის ალმა, შემდეგ მეორემ. ზარბაზნის რამდენჯერმე გასროლის ხმა ერთმანეთს ენაცვლება. ადიუტანტები ფანჯრებს მიცვივდნენ. ნუთუ პრუსიელები შეტევაზე გადმოვიდნენ?

„ძალიან კარგი, დაე შეუტონ! თქვა მარშალმა და კიის ცარცი წაუსვა...თქვენი ჯერია კაპიტანო.“

შტაბი გაოცებისაგან თრთის. ტყვიამფრქვევის ლაფეტზე ჩაძინებული ტიურენი³ მარშალთან ვერ მოვა. მარშალი მშვიდად დგას ბილიარდის მაგიდასთან საომარი მოქმედების დროს...ამ დროს ორმაგად ძლიერი ხმაური გაისმა. ზარბაზნის ზანზარი შეერია ტყვიამფრქვევების შემზარავ კაკანს, ოცეულის სროლის ხმას. წითელი და შავი ფერის სველი ნისლი გაზონიდან ზემოთ ავარდა. პარკის

³ ვიკონტ დე ტიურენი, საფრანგეთის მარშალი, ჯერ ლუდოვიკო XIII, შემდეგ ლუდოვიკო XIV-ეს საუკეთესო გენერალი იყო.

სიღრმეში ყველაფერი ალში გაეხვია. შეშინებული ფარშევანგები, ხოხბები თავიანთ ვოლიერებში გაჰყვირიან. არაბული ულაყები თავლაში დენტის სუნზე ყალყზე დგებიან. შტაბი ღელავს. დეპეშა დეპეშაზე მოდის. შიკრიკები თავქუდმოგლეჯილები მორბიან. მარშალთან შეხვედრას ითხოვენ.

მარშალი მიუწვდომელია. რადგანაც ვერაფერი ვერ შეაჩერებს სანამ პარტიას არ დაასრულებს.

„ თქვენი ჯერია კაპიტანო. “

მაგრამ კაპიტანი დაბნეულია. იმის გამო, რომ ახალგაზრდაა! თავგზა ებნევა, ავიწყდება რა უნდა გააკეთოს და დარტყმას დარტყმაზე აკეთებს, რითაც თითქმის პარტიას იგებს. ამჯერად მარშალი განრისხდა. მოულოდნელად, აღშფოთება აღიბეჭდა მის ძლიერ სახეზე. ზუსტად იმ მომენტში, ვიდაცის ცხენი მუცლით დაეცა მიწაზე ეზოში. უცებ ერთმა ტალახშიამოსვრილმა ადიუტანტმა ბრძანება დაარღვია, ნახტომით გადმოკვეთა სადარბაზო და შესძახა: „ მარშალო! მარშალო!... “ მარშალი სიბრაზისაგან მამალივით დაბერილი და ჭარხალივით გაწითლებული ფანჯარაში გადმოდგა, ხელში ბილიარდის კიი ეკავა:

„ რა ხდება?... რას ნიშნავს ყოველივე ეს?...მანდ რა გუშავი არ დგას?

-კი მაგრამ მარშალო...

-კარგი...ახლავე...დაელოდეთ ჩემს ბრძანებას, ეშმაკმა დალახვროს...!

და ფანჯარა მიიჯახუნა.

დაე, ელოდონ მის ბრძანებას!

კარგია, რასაც საბრალო ჯარისკაცები აკეთებენ. ქარისგან წვიმა სახეში ხვდებათ. ყველა ბატალიონი განადგურებულია. ზოგი დაბნეულია, უსარგებლოდ მიიჩნევს თავს. იარაღი მკლავზე აქვს გადაკიდებული. ვერც კი იაზრებენ საკუთარ უმოქმედობას. ვერაფერს გახდები. ბრძანებას ელიან...ისე კი, ბრძანება სრულებითაც არ არის საჭირო, რომ ასობით ადამიანი დაიღუპოს. ისინი უსულოდ ეცემიან ბუჩქებთან, ორმოებში, მდუმარედ მდგარი სასახლის წინ. ტყვიებით განგმირული ჯარისკაცების ღია ჭრილობებიდან ჩუმად მოედინება საფრანგეთის კეთილშობილი სისხლი...ხემოთ კი, ბილიარდის ოთახში, სიტუაცია ძალიან დაიძაბა. მარშალი კვლავ დაწინაურდა; პატარა ტანის კაპიტანი კი თავს ლომივით იცავს...

17! 18! 19!...

ძლივს ასწრებენ ქულების აღნიშვნას. ბრძოლის ხმა ახლოვდება. მარშალი უკვე მარტო თამაშობს. ჭურვები უკვე პარკში ეცემა. აი, ერთი კიდევ აბაზანის თავზე ჩამოფარდა. სარკე გატყდა. შეშინებული გედი სისხლიანი ბუმბულების მორევში ცურავს. ბოლო დარტყმა...

ამჯერად, სიჩუმემ დიდი ხნით დაისადგურა. მხოლოდ წვიმის ხმა ისმის, ფანჯარებს ეცემა, მთის ძირში უცნაური ხმაური ისმის. გადარეცხილი გზებით, რაღაც ბრბო ღოღვით მიემართება...ჯარი სრულიად განადგურებულია. მარშალმა კი პარტია მოიგო.

კოლმარის მოსამართლის ზმანება

ქალაქ კოლმარის სასამართლოს პატარა ტანის მოსამართლე დოლინგერი, სასამართლო სხდომაზე, ყურზე გადმოვადებული მოსამართლის ქუდით, დიდი მუცლით, გადმობრუნებული ტუჩით და ერთმანეთზე სამფენად მუსლინის ბაფთაზე გადმოვადებული ღაბაბით შედიოდა. მასზე ბედნიერი ადამიანი არაეინ იყო, სანამ იმპერატორ ვილჰელმ⁴ II-სადმი ერთგულების ფიცს დადებდა.

„რა კარგია! რაღაც გასამრჯელოს მივიღებ“, თითქოს ასეთი სახით ეუბნებოდა საკუთარ თავს. მართლაც სიამოვნება იყო მისი ყურება როგორ შლიდა თავის ჩასუქებულ ფეხებს და ეფლობოდა დიდ სავარძელში, მრგვალი ტყავის ახალი და რბილი დასაჯდომი რგოლით, რის გამოც ალბათ მოსამართლის ოცდაათწლიანი გამოცდილების მანძილზე, მას მუდამ ერთნაირი განწყობა და კანის ღია ფერი ჰქონდა.

საბრალო დოლინგერი!

სწორედ ეს ტყავის რგოლი დაკარგა მან. დოლინგერი ისე კარგად გრძნობდა მასში თავს, მისი ადგილი ისე კარგად იყო მორგებული მოლესკინის ბალიშზე, რომ ერჩინა პრუსიელი გამხდარიყო, ვიდრე იქიდან ამდგარიყო. იმპერატორმა ვილჰელმა უთხრა: „არ აღქეთ ბატონო დოლინგერ!“ და

⁴ ვილჰელმ II, ანუ იგივე ფრიდრიჰი, ვილჰელმ ვიქტორ ალბერტ ფონ ჰოჰენცოლერი, გერმანიის იმპერატორი და პრუსიის მეფე იყო.

დოლინგერი განაგრძობდა ჯდომას; დღეს კი ის კოლმარის სასამართლოს მრჩეველია და მისი ბერლინელი უდიდებულესობის სახელით გამოაქვს განაჩენი.

მის გარშემო არაფერი არ შეცვლილა: იგივე უსახური და ერთფეროვანი სასამართლო, იგივე ღვთის კანონის მორჩილი პრიალა გრძელსკამებიანი დარბაზი, გაშიშვლებული კედლებით, ადვოკატების გუგუნით, იგივე სარკის ფარდებჩამოფარებული ფანჯრებიდან შემომავალი ბინდის შუქი, ქრისტეს იგივე მტერიანი, თავდახრილი, მკლავებგაშლილი ჯვარცმა. როდესაც ელზასი პრუსიელების გახდა, კოლმარის სასამართლომარ უღალატა ტრადიციებს; იმპერატორის ბიუსტი ისევ სასამართლოს სხდომის დარბაზში იდგა... და მაინც! დოლინგერი თავს უცხო გარემოში გრძნობდა. ამოდ ცქმუტავდა გაღიზიანებული თავის სავარძელში. უწინდებურად ვეღარ ახერხებდა პროცესიდან მისთვის საჭირო თანხის მოგებას, და თუკი შემთხვევით სასამართლო პროცესის დროს ჩაეძინებოდა, მხოლოდ საშინელ სიზმრებს ხედავდა.

დოლინგერი სიზმარში ხედავდა, რომ მაღალ მთაზეა, რაღაც ჰოჰენკისა (ვოგეზების მთის მესამე მწვერვალი) თუ ელზასის მწვერვალის მსგავს მთაზე...რას აკეთებს ის იქ მარტო, მოსამართლის მანტიაში, დიდ სავარძელში ჩაფლული ასეთი თვალუწვდენელ სიმაღლეზე, საიდანაც არაფერი არ მოჩანს დაბრეცილი ხეებისა და პატარა ბუნების გარდა?...დოლინგერმა არ იცის იქ რატომაა.

რალაცას უცდის, ცივი ოფლისა და კომმარისაგან გამოწვეული შიშისაგან კანკალებს. რაინის სანაპიროს მეორე მხრიდან, შავი ნაძვნარის უკან, დიდი წითელი მზე ამოდის. მზის ამოსვლისთანავე ქვემოთ, ტანისა და მიუნსტერის ხეობებში, ელზასის ერთი ბოლოდან მეორეში, ბუნდოვანი გრუხუნი, ფეხის ნაბიჯების, მანქანების მოძრაობის ხმაური ისმის. ხმაური ძლიერდება, ახლოვდება და დოლინგერს გული ეკუმშება! უცებ, გრძელ მიხვეულ გზაზე, რომელიც მთის ფერდობებისაკენ მიიკლავება, კოლმარის მოსამართლე მისკენ მომავალ სვედიან და უსასრულო კორტეჟს ხედავს. ელზასის მთელმა მოსახლეობამ გადაწყვიტა აქ მოეყარა თავი ვოგეზების ამ გადასასვლელში, რათა ხარ-ზეიმით აღენიშნა გადმოსახლება.

წინ გრძელი ეტლები მიდიოდა, რომლებშიც 4-4 ხარი იყო შებმული. ფარღალაა გრძელი ეტლები, რომლებზეც ძნებს ტვირთავენ მკის დროს. მასზე ახლა ავეჯი, ფარა, სამუშაო ინსტრუმენტები, ლოგინები, დიდი კარადები, სართავი ჯარა, პატარა საბავშვო სკამები, წინაპართა ნაქონი სავარძლები შემოუწყვიათ. ძველი დახვეწებული რელიქვიები სამალავიდან გამოულიათ, გეგონება გზაზე კერიების წმინდა მტვერს ქარს ატანენო. მთელი სახლები მიემართება ასეთი ტიპის ეტლებით. ისინი ჭრიალით მიემართებიან წინ. ხარები ძლივს მოძრაობენ, თითქოს მიწა მიეკრაო ბორბლებს. გამხმარი მიწა მიეკრო ფარცხებს, გუთნებს, წერაქვებს, ფოცხებს, რაც ტვირთს უფრო მძიმეს ხდის. ეს გამგზავრება

სხვა ქვეყანაში გადასახლებას ჰგავს. უკან კი მდუმარე ხალხი მოიჩქარის, ყველა ჯურისა და ასაკის. ღრმად მოხუცებულებიდან პატარებამდე დამთავრებული. მოხუცებს სამკუთხა ქულები ახურავთ, ჯოხებზე დაყრდნობილები კანკალით მოძრაობენ, ქერაკულულებიან პატარებს ბამბაზის შარვლები აცვიათ აჭიმებით. პარალიზებული ბებია ამაყ ბიჭებს მხრებზე შესმული მოჰყავთ. ჩვილი ბავშვები დედებს გულზე მიდებული მოჰყავთ. ყველა აქ არის. მამაცი და აუადმყოფი, ისინი ვინც უახლოეს მომავალში ჯარში უნდა გაიწვიონ და ისინიც, ვინც უკვე იგემა ომის საშინელება და დასახინრებულნი ძლივს მოძრაობენ ყავარჯნების დახმარებით. ფერმკრთალი, ქანცგაწყვეტილი არტილერიისტები მიდიან, რომელთა დაგლეჯილ ფარაჯებს ჯერ კიდევ შემორჩენიათ სპანდაუს⁵ ციხის ობი. ყველა ამაყად მიემართება იმ გზაზე, რომლის პირას დოლინგერი, კოლმარის მოსამართლე ზის. ისინი მას უყურებენ. მათ სახეზე მრისხანება და ზიზღია აღბეჭდილი...

ოხ! საბრალო დოლინგერი! დამალვა, გაქცევა სურს, მაგრამ არ შეუძლია. მისი სავარძელი მთაშია ჩაჭედებული, მისი ტყავის რგოლი სავარძელში დევს, ხოლო თვითონ კი თავის ტყავის რგოლზე ზის. ხვდება, რომ სამარცხვინო ბოძზეა მიჯაჭვული. სამარცხვინო ბოძი ძალიან მაღლა დგას იმისათვის, რომ მისი სირცხვილი შორიდან დაინახონ...

⁵ სპანდაუს ციხე ბერლინში, აგებულ იქნა 1876 წელს. დაანგრიეს მისი უკანასკნელი პატიმრის რულოფ ჰესეს გარდაცვალების შემდეგ 1987 (ქ.ჯაში).

მსვლელობა გრძელდება. ერთი სოფელი მეორეს ენაცვლება, შვეიცარიის საზღვრიდან წამოსულები დიდ ფარას მოერეებიან. საარიდან წამოსულებს რკინის ხელსაწყოები სასუქისათვის განკუთვნილ ვაგონებში ჩაუწყვიათ და ისე მოაგორებენ. შემდეგ კი ამას სხვადასხვა ქალაქების წარმომადგენელები ენაცვლებიან. მრთველები, ტყავით მოვაჭრეები, ფეიქრები, მგრეხელები, ბურჟუები, მღვდლები, რაბინები, წითელ და შავ მანტიებში გამოწყობილი მოსამართლეები... აი, გამოჩნდა კოლმარის სასამართლოს კოლეგია. მისი მოხუცი თავმჯდომარე წინ მოუძღვება. დოლინგერი სირცხვილისაგან ლამის მოკვდეს, ცდილობს სახე დამალოს, მაგრამ ხელები პარალიზებული აქვს, ცდილობს თვალები დახუჭოს, ქუთუთოები არ ემორჩილება. ის წინ იყურება. ის უნდა ხედავდეს და მას უნდა ხედავდნენ. მხედველობის არედან არ უნდა გამორჩეს მისი კოლეგების ზიზღითნარევი მზერა... მოსამართლე სამარცხვინო ბოძზეა გაკრული. რაღაც საშინელებაა! ყველაზე საშინელი ისაა, რომ მისი ოჯახის წევრებიც იქ არიან, მაგრამ ვერც ერთი მათგანი ვერ ცნობს მას. მისმა ცოლმა, ბავშვებმა, თავდახრილებმა მის წინ ჩაიარეს. თითქოსდა მათაც რცხვენოდათ! თვით მისი პატარა მიშელი, რომელიც ასე ძლიერ უყვარდა, სამუდამოდ ტოვებდა მამას ისე, რომ მისთვის არც კი შეუხედავს. მხოლოდ მისი სასამართლოს კოლეგიის თავმჯდომარე ერთი წუთით შეჩერდა. მას ხმადაბლა უთხრა: „წამოდით ჩვენთან ერთად დოლინგერ. ნუ დარჩებით აქ მეგობარო...“

მაგრამ დოლინგერს არ შეუძლია ადგომა. ის ბორგავს, ეძახის მათ, მაგრამ კორტეჟი მის თვალწინ უკვე რამდენიმე საათია მიემართება. სადამოს, როდესაც ყველამ ჩაიარა, ზარებითა და ქარხნებით სავსე ლამაზ ხეობებში, სიჩუმემ დაისადგურა. მთელი ელზასი წასულიყო. მხოლოდ კოლმარის მოსამართლე დარჩა უძრავად თავის სავარძელში იქ მალდა, სამარცხვინო ბოძზე მიჯაჭვული...

...უცებ სცენა შეიცვალა. გამოჩნდა ურთხლები, შავი ჯვრები, საფლაგების რიგები, ბრბო ძაძვებში.

ეს კოლმარის სასაფლაოა, დაკრძალვის დღე. ქალაქის ყველა ზარი რეკს. მრჩეველი დოლინგერი მომკვდარა. ის, რისი გაკეთებაც ღირსებით ვერ მოხერხდა, სიკვდილით გახდა შესაძლებელი. შეუცვლელი მოსამართლე აღარ იჯდა ტყავის რგოლზე, ამჯერად ის იწვა. ეს ის ადამიანია, რომელიც ჯიუტად უარს ამბობდა ადგომაზე...

ამაზე საშინელი არაფერია სიზმარში ნახო საკუთარი გარდაცვალება და დაიტირო საკუთარი თავი. გულდათუთქული დოლინგერი საკუთარ დაკრძლვას დაესწრო. ყველაზე მეტად რამაც ის სასოწარკვეთაში ჩააგდო ისაა, რომ ამ ზღვა ხალხში, რომელსაც მის გარშემო თავი მოეყარა, არც ერთი მეგობარი, არც ნათესავი არ იყო. არავინ იყო კოლმარიდან, მხოლოდ პრუსიელები! ესკორტი პრუსიელი ჯარისკაცებისაგან შედგებოდა. პრუსიელი მოსამართლეები ხელმძღვანელობდნენ დამმარხავ პროცესიას და სამგლოვიარო სიტყვებს მის საფლაგზე მხოლოდ პრუსიული მანერით

წარმოთქვამდნენ და ის ცივი მიწაც კი, რომელსაც მას აყრიდნენ, სამწუხაროდ, ისიც პრუსიული იყო! უცებ ხალხმა პატივისცემით გაიწია, მას შესანიშნავი თეთრი ფერის ტანსაცმელში გამოწყობილი ბექთაროსანი მიუახლოვდა. პალტოში რაღაცას მაღავდა, რომელიც უკვდავების დიდ გვირგვინს წააგავდა. გარშემო მყოფმა ხალხმა წამოიძახა:

„აი, ბისმარიკი!...აი, ბისმარიკი!...“

კოლმარის მოსამართლემ დაღვრებით გაიფიქრა:

„ბატონო გრაფო თქვენი მობრძანებით დიდი პატივი დამდეთ, ნეტავ ჩემი პატარა მიშელი აქ ყოფილიყო...“

უცებ დიდი ხორხოცი ატყდა. ვერც კი მოასწრო აზრის დამთავრება. აღმაშფოთებელი, სპონტანური, თავშეუკავებელი სიცილი გაისმა.

„რას აკეთებენ?“ გაოგნებული მოსამართლე საკუთარ თავს ეკითხება. ის დგება და იყურება... ეს ხომ მისი ტყავის რგოლია, რომელიც ბატონმა ბისმარკმა მის საფლავეზე მოწიწებით დადო. მოლესკინშემოკერებულ რგოლზე ასეთი წარწერა იყო გაკეთებული:

მოსამართლე დოლინგერს

პატივის მიაგებს სასამართლო

სინანულს და მწუხარებას მიაგებენ მას

სასაფლაოზე ყველა იცინის, ყველა ხორხოცებს, პრუსიელების მხიარულება საფლავეშიც კი ისმის. გაუთავებელი დაცივივისაგან შეურაცხყოფილი გარდაცვლილი სირცხვილისაგან ტირის...

ჯაშუში ბაგვაი

მას სტენი ერქვა, პატარა სტენი. ის პარიზის შვილი იყო, სუსტი და ფერმკთალი. 10 წლის იქნებოდა, შეიძლება 15-საც. წვინტლების გამო ზუსტად ვერ ვიტყვი რამდენი წლის იყო. დედა გარდაეცვალა, მამამისი ყოფილი მეზღვაური, ტემპლის უბანში სკვერის დარაჯად მუშაობდა. პარიზის ყველა ღარიბი, ბავშვები, მოსამსახურეები, მოხუცი ქალები დასაკეცი სკამებით, დედები ღარიბი ოჯახებიდან ჩამწკრივებული ეტლების რიგს გაურბოდნენ და თავს, ტროტუარით გარშემორტყმულ ყავილნარს აფარებდნენ. ყველა კარგად იცნობდა და ძალიან უყვარდა სტენის მამა. თუმცა მისი უხეში უღვაში ძაღლებსა და მოსეირნებს აშინებდა, რომელიც მაღავდა მის ნაზ, კეთილ და თითქმის მამობრივ ღიმილს. ამ ღიმილის დანახვისას სურვილი გიჩნდებოდათ მისთვის გეკითხათ:

„როგორ არის თქვენი ბიჭუნა?“...

მას ძლიერ უყვარდა თავისი შვილი! ძალიან ბედნიერი იყო, როდესაც საღამოობით, სკოლის შემდეგ სტენი მამას შეუვლიდა და ორივე ხეივანში

სეირნობდა. ისინი ყოველი სკამის წინ ჩერდებოდნენ და ნაცნობებს ესალმებოდნენ, თავაზიანად პასუხობდნენ მათ შეკითხვებს.

სამწუხაროდ, პარიზის ალყამ ყველაფერი შეცვალა. მამა სტენის⁶ სკვერი დაზურეს. იქ ნავთობის საწყობი მოაწყვეს. საბრალო კაცი იძულებული გახდა მუდმივად თვალყური ედევნებინა მისთვის. იგი მთელ დღეს უკაცრიელ და გადათხრილ ადგილას ატარებდა მარტო. მოწვევაც კი არ შეეძლო. შვილს მხოლოდ გვიან საღამოს შინ დაბრუნებისას ხედავდა. როდესაც პრუსიელებზე საუბრობდა, უნდა გენახათ რა მოსდიოდა მის უღვაშს... პატარა სტენი კი მაინცდამაინც არ უჩიოდა ახალ ცხოვრებას.

ალყა ძალზე ახალისებდა ყმაწვილებს! აღარც სკოლა იყო! აღარც დაზღვევა! ყოველდღე არდადეგები. ქუჩა ბაზრობის მოედანს ჰკავდა...

ბავშვი გვიანობამდე ქუჩაში იყო. ის უბნის ბატალიონებს აცილებდა, რომლებიც ბასტიონისაკენ მიემართებოდნენ. იმათ არჩევდა, ვისაც განსაკუთრებით კარგი მუსიკის თანხლება ჰქონდა. პატარა სტენი ამ საკითხში კარგად იყო გათვითცნობიერებული. ის ამბობდა, რომ 96-ე ბატალიონის მუსიკა დიდად არ გამოირჩეოდა, სამაგიეროდ 55-ე ბატალიონს შესანიშნავი მუსიკა ჰქონდა. ზოგჯერ ეროვნული გვარდიის ჯარისკაცების ვარჯიშს უყურებდა, ხან კი რიგში იდგა...

კალათით ხელში გრძელ რიგებში იდგა,

⁶ მამას და შვილსაც სტენი ერქვათ.

რომლებიც უგაზო ზამთარში გარიჟრაჟზე საყასბოსა და საფუნთუშეს ღობეებთან იქმნებოდა. რიგებში დგომისას ადამიანებს ფეხები წყლის გუბებში ედგათ. ისინი ერთმანეთს ეცნობოდნენ, საუბრობდნენ პოლიტიკაზე და რა თქმა უნდა როგორც ბატონი სტენის ვაჟიშვილს, მასაც ეკითხებოდნენ აზრს. ყველაზე სახალისო საცობებით თამაში იყო, ფრანგულად მას galoché-ს⁷ უწოდებენ, რომელიც ალყის დროს ბრეტონელი ევროვნული გვარდიის ჯარისკაცების წყალობით მოდაში შემოვიდა. როდესაც პატარა სტენი მიწაყრილთან არ იყო და არც საფუნთუშეს წინ რიგში იდგა, დარწმუნებული უნდა ყოფილიყო, რომ ის საცობების პარტიას ესწრებოდა შატო-დ'ოს⁸ მოედანზე. რა თქმა უნდა თვითონ არ თამაშობდა. ამისათვის ბევრი ფული იყო საჭირო. სხვების თამაშს თვალყურს ადევნებდა!

განსაკუთრებით ერთი მაღალი გამოირჩეოდა ცისფერ კამზოლში, რომელიც ფსონს მხოლოდ 5 ფრანკიანი მონეტებით ჩამოდიოდა. იგი სტენის აღფრთოვანებას იწვევდა. როდესაც მაღალი ბიჭი დარბოდა, მისი კამზოლიდან მონეტების ჟღარუნი ისმოდა...

ერთ დღეს, როდესაც ის სტენის ფეხებთან დავარდნილი მონეტის ასაღებად დაიხარა, სტენს ხმადაბლა უთხრა:

„შენც გინდა არა?... მაშ, თუ გინდა, გეტყვი სად

⁷ საცობიდან ფულის ჩამოგდება ხდება ბრტყელი ქვის მეშვეობით.

⁸ მოედანი პარიზში.

შეიძლება ფულის შონა.“

პარტია დასრულდა. მაღალმა ბიჭმა სტენი მოედნის კუთხეში გაიყვანა და უთხრა: „გინდა ჩემთან ერთად პრუსიელებს გაზეთები მიჰყიდო? თითო წასვლაზე 30 ფრანკს გვაძლევენ.“ თავიდან სტენმა უარი თქვა. ძალზე აღშფოთდა. სამი დღე არც კი მისულა თამაშის საყურებლად. სამი ღამე წესიერად არ სძინებია. ესიზმრებოდა საწოლთან ერთმანეთზე დაწყობილი ქვეები. მის წინ 5 ფრანკიანი ბრჭყვიალა მონეტები ცვიოდა. ცდუნება ძალზე დიდი იყო. მეოთხე დღეს მიბრუნდა მოედანზე, ისევ შეხვდა იმ მაღალ ბიჭს და ცდუნებას აჰყვა...

ისინი ერთ თოვლიან დილას მხარზე გადაკიდებული ტილოს ტომრებით გზას გაუდგნენ. გაზეთები ხალათებში დაემალათ. თენდებოდა, როდესაც ფლანდრიის მისადგომებს მიუახლოვდნენ. ბიჭმა სტენს ხელი მოჰკიდა და გუშაგთან მივიდა. გუშაგს წითელი ცხვირი და კეთილი ადამიანის გარეგნობა ჰქონდა. ბიჭმა საცოდავი ხმით უთხრა:

„კეთილო კაცო, თუ შეიძლება გაგვატარეთ... დედა აუად გვყავს, მამა მოგვიკვდა. თუ შეიძლება, მინდორში ჩემს უმცროს ძმასთან ერთად კარტოფილს შევაგროვებ.“

ბიჭი ატირდა. სტენმა სირცხვილისაგან თავი დახარა. გუშაგმა მათ შეხედა, თვალი მიმოავლო უკაცრიელ და დათოვლილ გზას და უთხრა:

„მიდით, სწრაფად გაიარეთ“ და გვერდზე გადაა.

ისინი ობერვილიესკენ მიმავალ გზას გაუდგნენ. ბიჭმა სიცილი დაიწყო!

ბუნდოვნად, თითქოს სიზმარში იყო, პატარა სტენი ყაზარმად ქცეულ ქარხნებს, მიტოვებულ სველტილო გადაფარებულ ბარიკადებს, ნისლიან ზეცაშიაღმართულ მაღალ, ცარიელ და დანგრეულ ბუხრის მილებს ხედავდა. დროდადრო მზვერავი გამოჩნდებოდა. კაპიუშონიანი ოფიცრები ჭოგრიტში იყურებოდნენ. იმ ადგილას თოვლისგან დასველებული კარები იყო გაშლილი, დანთებული კოცონი ჩაქრობას ლამობდა და თოვლს ადნობდა. ბიჭმა კარგად იცოდა გზები, ისიც იცოდა როგორ აეგლო გვერდი საგუშაგოებისათვის. თუმცა მაინც ერთ მათგანს გვერდი ვერ აუარეს. ისინი მიადგნენ თავისუფალ-მსროლელთა გვარდიის საგუშაგოს. ჯარისკაცებს მოკლე საწვიმარი ლაბადები ეცვათ. წყლით სავსე ორმოებში სუასონის რკინიგზის გაყოლებზე ჩაცუცქულიყვნენ. ამჯერად ბიჭის მონათხრობმა არ გაჭრა. ისინი ბიჭებს არ უშვებდნენ. ბიჭის ტირილზე დარაჯის სახლიდან მოხუცი სერჟანტი გამოვიდა, თეთრთმიანი, დანაოჭებული სახით. იგი სტენის მამას ჩამოგავდა:

„გეყოფათ! ბალებო ნუ ტირით! უთხრა მან ბავშვებს, გაგიშვებთ და აიღეთ კარტოფილი, მაგრამ მანამდე სახლში შემოდით და ცოტათი გათბით... პატარა სულ გაყინული ჩანს!“

სამწუხაროდ, პატარა სტენი სიცივისაგან კი არა, შიშისა და სირცხვილისაგან უფრო კანკალებდა. საგუშაგოზე რამდენიმე ჯარისკაცი დახვდათ, რომელიც დაბალ ცეცხლს ეფიცებოდა. მის ალზე ხიშტებზე წამოცმულ გაყინულ ნამცხვარს

ათბობდნენ. ერთად შექუჩდნენ, რომ ბავშვები დაესვათ. ბავშვებს ცოტა ყავა დააღვინეს. სანამ ისინი ყავას სვამდნენ, კარებს ერთი ოფიცერი მოადგა, სერჟანტს დაუძახა, რაღაც უთხრა ჩუმად და მალე წავიდა.

„ბიჭებო! თქვა გახარებულმა სერჟანტმა... ამდამ ბრძოლა გველის. დარწმუნებული ვარ, რომ ამჯერად ამ დაწყველილ ბურჟეს დაეიბრუნებთ! ...“

უცებ სიცილისა და ბრაუოს შეძახილები გაისმა. დაიწყეს ცეკვა, სიმღერა და ხიშტების გაპრიალება. ბავშვებმა ხმაურით ისარგებლეს და გაიპარნენ.

გაიარეს სანგარი, მხოლოდ მინდორი და სიღრმეში სათოფურისათვის აქა-იქ გამონგრეული გრძელი თეთრი კედელი ჩანდა. სწორედ იმ კედლისკენ გაემართნენ ისინი, ჩერდებოდნენ ყოველ წუთს, თითქოს კარტოფილს იღებნენ.

„დავბრუნდეთ...ნუ წავალთ“, ეუბნებოდა ყოველ წუთს პატარა სტენი ბიჭს.

ბიჭი კი მხოლოდ მხრებს იჩეჩავდა და წინ მიიწევდა. უცებ შემოესმათ თოფის ჩახმახის ხმა.

„დაწევი!“ დაიძახა ბიჭმა და უცებ გაწვა მიწაზე.

გაწვა თუ არა მიწაზე დაუსტვინა. ამ დროს საპასუხო სტვენა გაისმა. მათ ხოხვით განაგრძეს გზა... კედლის წინ, მიწის ღონეზე ორი ყვითელულვაშიანი მამაკაცი გამოჩნდა. თავზე ჭუჭყიანი ბერეტები ეხურათ. სტენის მეგობარი სანგარში ჩახტა პრუსიელთან:

„ეს ჩემი ძმაა“ ანიშნა სტენზე.

სტენი ისეთი პატარა იყო, რომ მის დანახვაზე

ერთ პრუსიელს სიცილი წასკდა. იძულებული გახდა ხელში აეყვანა და ხერხელში გაეძვინა.

კედლის მეორე მხარეს, დიდი მიწაყრილები, წაქცეული ხეები, თოვლში შავი ხვრელები იყო გაკეთებული. თითოეულ ხვრელში ისეთივე ჭუჭყიანი ბერეტები და ქერა ულვაშები მოჩანდა, რომლებსაც ბავშვების დანახვაზე ეცინებოდათ.

ერთ კუთხეში მებადის ხით გამაგრებული სახლი გამოჩნდა. ქვედა სართული საუსე იყო ჯარისკაცებით. კარტს თამაშობდნენ და მოგიზგიზე ცეცხლზე წვნიანს ამზადებდნენ. კომბოსტოს და ღორის ქონის კარგი სუნი იდგა. როგორ განსხვავდებოდა პრუსიელების საგუშაგო ფრანგების საგუშაგოსაგან! ზედა სართული ოფიცრებს ეკავათ. ისინი პიანინოზე უკრავდნენ, შამპანურის ბოთლებს ხსნიდნენ. როდესაც პარიზელი ბიჭები შემოვიდნენ, მხიარული შეძახილებით შეეგებნენ. ბიჭებმა მათ გაზეთები გადასცეს. პრუსიელებმა კი სასმელი დაუსხეს და ალაპარაკეს. ყველა იქ მყოფ ოფიცერს ამაყი და ბოროტი გამოხედვა ჰქონდა; დიდი ბიჭი მათ საკუთარი გონებაამახვილობით, ჰულიგნური ლექსიკით ართობდა. პრუსიელები იცინოდნენ, ბიჭთან ერთად სიტყვებს იმეორებდნენ, სიამოვნებით უსმენდნენ პარიზის ჭორებს, რომლებსაც ბიჭი უყვებოდა.

პატარა სტენსაც ალბათ სურდა ელაპარაკა, დაემტკიცებინა, რომ სულელი არ იყო, მაგრამ რაღაც ხელს უშლიდა. მის პირდაპირ განმარტოებით შედარებით ხანშიშესული სხვებთან შედარებით

უფრო სერიოზული კაცი იდგა. ის გაზეთს კითხულობდა, შეიძლება კიდევ თავს აჩვენებდა, რომ კითხულობდა, რადგანაც ის თვალს არ აცილებდა სტენს. მის მხერაში სითბო და საყვედური გამოსჭვიოდა, ალბათ თავის სამშობლოში მისი ტოლი ბიჭი ჰყვავდა და თითქოს სტენს ეუბნებოდა: „მერჩონა მომკვდარიყავი, ვიდრე საკუთარი შვილი მსგავს სიტუაციაში მენახაო...“

იმ მომენტში სტენს რაღაც გრძნობა დაეუფლა, რომელიც თითქოს მის გულისცემას ხელს უშლიდა.

რომ დაეღწია ამ უხერხულობისათვის სასმელს მიეძალა. თავბრუ დაეხვა. ამ ხორხოცში ძლივს ესმოდა დიდი ბიჭის ნაამბობი, რომელიც ეროვნულ გვარდიას, მათ ვარჯიშს, მათ მწყობრში დგომას, ასევე ღამის განგაშს მიწაყრილზე დასცინოდა. შემდეგ ბიჭმა ხმას დაუწია, ოფიცრები მას მიუახლოვდნენ და უცებ სახის გამომეტყველება შეეცვალათ, უფრო მკაცრი გაუხდათ. იმ უბადრუკმა პრუსიელები შეტევის შესახებ გააფრთხილა...

ამჯერად, პატარა სტენი განრისხებული წამოდგა ფეხზე სრულიად ფხიზელი:

„ოღონდ ეგ არა... წოწოლ...არ მინდა.“

მაგრამ დიდმა ბიჭმა გაიცინა და განაგრძო. სანამ ის ლაპარაკს მორჩებოდა, ყველა ოფიცერი ფეხზე ადგა. ერთმა მათგანმა კარებზე მიუთითა ბავშვებს:

„აქედან გაეთრიეთ!“ უთხრა მან.

მათ ერთმანეთს სწრაფად რაღაც უთხრეს გერმანულად. დიდი ბიჭი ამაყად გავიდა ღოჭოვით,

აღებულ ფულს ჟღარუნი დააწყებინა. სტენი კი მას დარცხვენილი გაჰყვა; როდესაც მოხუც პრუსიელს, რომელიც თვალს არ ამოვრებდა წინ ჩაუარა, ნაღვლიანი ხმა შემოესმა:

„Bas chôli, ça...Bas chôli⁹...“

სტენს თვალბეზვ ცრემლები მოადგა.

როგორც კი ბავშვები მინდორში აღმოჩნდნენ, სწრაფად გაემართნენ ფრანგების საგუშაგოსაკენ. ჩანთები საესე ჰქონდათ კარტოფილით, რომელიც პრუსილებმა მისცეს. ამით შეუფერხებლად გაიარეს პარტიზანების საგუშაგო. ისინი ღამის შეტევისათვის ემზადებოდნენ. ჯარი ჩუმად მიუახლოვდა და კედლის უკან მოიყარა თავი. მოხუცი სერჟანტი ბედნიერი გამომეტყველებით იქვე იყო. თავის ჯარისკაცებს მითითებებს აძლევდა. როდესაც ბიჭები დაინახა, იცნო და გაუღიმა...

ოხ! როგორ გაუძნელდა პატარა სტენს ამ ღიმილის დანახვა! ერთი გაფიქრება უნდოდა ეყვირა კიდევ:

„არ წახვიდეთ... გიღალატეთ.“

მაგრამ ბიჭმა უთხრა: „თუ იმას იტყვი რაც გააკეთეთ, დახვერუტა არ აგვცდებო“. შიშის გამო სტენმა გადაიფიქრა.

კურნევი¹⁰, ისინი ფულის გასაყოფად ერთ მიტოვებულ სახლში შევიდნენ. სიმართლე მაიძულებს

⁹ნიშნავს ღამის არ არის. ტექსტში დამახინჯებული ფორმაა მოცემული, რაც იმაზე მიუთითებს, რომ პერსონაჟმა ფრანგული ენა კარგად არ იცის (ქ.ჯაში)

¹⁰კურნევი კომუნაა, რომელიც სენ-სენ ღენის დეპარტამენტში მდებარეობს(ილ დე ფრანსის რეგიონში)

ვთქვა, რომ ფულის განაწილება პატიოსნად მოხდა. როდესაც სტენს ლამაზი ეკიუპების ჟღარუნი საკუთარი ხალათის ჯიბიდან შემოესმა, ფიქრი საცობით თამაშზე დაიწყო, რომელიც მას პერსპექტივაში ელოდებოდა, აზრი შეიცვალა იმის გამო, რომ მძიმე დანაშაული ჩაიდინა.

როდესაც ბიჭს დაშორდა, საბრალო სტენი მარტო დარჩა, იგრძნო, რომ ჯიბეები დამძიმებული ჰქონდა, ამან გული კიდევ უფრო მეტად შეუკუმშა. პარიზი მას სხვანაირად ეჩვენებოდა. ეგონა, რომ ქუჩაში მიმავალი ადამიანები მას მკაცრად უყურებდნენ, თითქოს იცოდნენ რაც გააკეთა. ყოველი მხრიდან ბორბლების ხმაურში, დოლის ბრაზუნში, რომელიც არხის მთელ სიგრძეს მიჰყვებოდა, სიტყვა ჯაშუში ესმოდა. სახლში მივიდა. ძალიან გაუხარდა, რომ მამა ჯერ არ იყო დაბრუნებული. ზევით ავიდა ოთახში და ბალიშის ქვეშ დამალა ის ფული, რომელიც ასე უმძიმებდა გულს.

იმ საღამოს სტენის მამა ძალიან თავზიანი და მხიარული იყო. სტენს იგი ასეთი არასოდეს არ უნახავს. პროინციიდან კარგი ახალი ამბავი მიიღეს. საქმეები უკეთესად მიდიოდა. ვახშმის დროს, ყოფილმა ჯარისკაცმა კედელზე ჩამოკიდებულ თოფს შეხედა და ბავშვს თავისი კეთილი ღიმილით უთხრა:

„ეჰ, პატარავ, დიდი, რომ ყოფილიყავი, პრუსიელებს ალბათ შენც შეებრძოლებოდი!“

რვა საათისათვის ზარბაზნის გასროლის ხმა გაისმა.

„ეს ობერვილიეში ხდება... ბურჟეს

გასანთავისუფლებლად იბრძვიან“, თქვა კეთილმა კაცმა, რომელმაც ყველა ციხე-სიმაგრე იცოდა. პატარა სტენი გაფითრდა. დაღლილობა მოიმიზეზა და დასაწოლად წავიდა, მაგრამ ვერ დაიძინა. ზარბაზნი განუწყვეტლივ გრუხუნებდა. მან წარმოიდგინა პარტიზანები, რომლებიც მოულოდნელად თავს უნდა დასხმოდნენ პრუსიელებს და თავად აღმოჩნდნენ ხაფანგში. მას გაახსენდა მომღიმარი სერჟანტი. სხვებთან ერთად თოვლში გართხმული წარმოიდგინა!...ამ დაღვრილი სისხლის საფასური მისი ბალიშის ქვეშ იყო და ეს ყველაფერი სწორედ ბატონი სტენის, ყოფილი ჯარისკაცის ვაჟიშვილის ბრალი იყო...ცრემლები ახრჩობდა. მეზობელ ოთახში მამამისი ბოლთას ცემდა. მან ფანჯარა გამოაღო. ქვევით მოედანზე დაფდაფები ხმა ხალხს უხმობდა, ეროვნული გვარდიის ბატალიონში გასამგზავრებლად ნომრებს არიგებდნენ. ჭეშმარიტად, ეს ნამდვილი ბრძოლა იყო. საბრალო ბიჭმა ქვითინის შეკავება ვეღარ შეძლო.

„რა გჭირს?“ თქვა მამა სტენმა შესვლისას.

ბავშვმა ვეღარ მოითმინა. გადმოხტა ლოგინიდან და მამას მუხლებში ჩუვარდა. ფული ძირს დაცვივდა.

„რა არის ეს? მოიპარე?“ ჰკითხა მოხუცმა აკანკალებული ხმით.

მამინ, ერთი ამოსუნთქვით, პატარა სტენმა მამამისს ყველაფერი უამბო, რაც ჩაიდინა. მოყოლისას გრძნობდა, რომ თანდათან ეშვებოდა

გულზე და საკუთარ თავს ნაკლებად ადანაშაულებდა. მამა სტენი შვილს შეძრწუნებული სახით უსმენდა. როდესაც მოყოლას მორჩა, თავი მკლავებში ჩარგო და ტირილი დაიწყო.

„მამა, მამა!...“ უნდოდა ეთქვა ბავშვს.

მოხუცმა მას ხელი ჰკრა, ხმა არ გასცა და ფული მიწიდან აიღო.

„სულ ესაა რაც იშოვე?“ ჰკითხა შვილს.

პატარა სტენმა თანხმობის ნიშნად თავი დაუკრა. მოხუცმა თოფი ჩამოხსნა კედლიდან, აიღო ვაზნების ჩანთა, ფული კი ჯიბეში ჩაიღო:

„კარგი, ამ ფულს მათ დაუბრუნებ.“

უსიტყვოდ, თავის მოუბრუნებლად, გარეთ გავიდა და ეროვნული გვარდიის ჯარისკაცებს შეუერთდა, რომლებიც ღამე საბრძოლველად წავიდნენ. მას შემდეგ სტენის მამა აღარავის უნახავს.

დედაბი მოგონება ალყაზე

იმ დღით, ვალერიენის¹¹ მთაზე წავედი. ჩვენი მეგობარი მხატვარი, ახლა სენის ეროვნული გვარდიის ლეიტენანტი ბ...უნდა მენახა. სწორედ ის, კეთილი ყმაწვილი, ყარაულში იღვა. განძრევა არ შეეძლო. წინ და უკან უნდა ევლო როგორც

¹¹მთა, რომელიც პარიზის დასავლეთით სურენის კომუნასთან მდებარეობს. მისი სიმაღლე 162 მეტრია.

მეზღვაური დადის ფორტის ფარული კარის წინ და ესაუბრა პარიზზე, ომზე და დაღუპულ ახლობლებზე... უცებ ლეიტენანტმა, რომელიც თავისი გვარდიის მუნდირის მიუხედავად ისევ უწინდელივით დაუნდობელ უნიჭო მხატვრად დარჩა, საუბარი შეწყვიტა, გაჩერდა და მკვლავში ხელი წამავლო...

„შეხედე, მშვენიერი დომიე“, ხმადაბლა მითხრა მან

და უცებ ანთებული ნაცრისფერი თვალის კუთხით, როგორც მონადირე ძაღლს ემართება, დამანახა პატიოსანი ქალისა და მამაკაცის სილუეტი, რომლებიც ეს-ესაა ვალერიენის მთის ზეგანზე გამოჩნდა.

დომიემართლაც მშვენიერი კაცი იყო. მას მომწვანო ფერის ხავერდის საყელოიანი გრძელი ყავისფერი რედინგოტი ეცვა, რომელიც თითქოსდა ხის ძველი ხავსისაგან იყო დამზადებული. ის იყო გამხდარი, დაბალი. მას ჰქონდა წითელი სახე, შეზნექილი შუბლი, მრგვალი თვალები, ბუს ნისკარტით ცხვირი, ჩიტივით პატარა თავი, დანაოჭებული, საზეიმო და სულელური გამომეტყველება. რომ დავასრულოთ მისი გარეგნობის აღწერა, ერთ ხელში ქსოვილის ყვაილებიანი ჩანთა ეჭირა, რომლიდანაც ბოთლის ყელი მოჩანდა, ხოლო მეორე ხელში კონსერვი, თუნუქის კონსერვი, რომლის დანახვაზე პარიზელებს ხუთთვიანი ბლოკადა ახსენდებათ... ქალის მხოლოდ უზარმაზარ ქუდს თუ შეამჩნევდით. ძველი შალი ჰქონდა მაგრად მოჭერილი თავიდან